ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4190039

ნომერი: AR1629704

თარიღი : 11.09.2018

გაცემის თარიღი : 27.09.2018

გაცნობის თარიღი : 27.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N197;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კობახიძე პ/ნ 01026002441
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. კორ. 17 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 11 სექტემბრის # AR1629704 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქ. #197-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: # 01.13.02.001.019) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (სასტუმრო, საოფისე, სავაჭრო და სხვა) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
იმისათვის, რომ, არქიტექტურის სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა დააზუსტოთ საპროექტო ობიექტის ფუნქციები და დამატებით წარმოადგინოთ:

- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები, თარიღის მითითებით;
- თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არ უნდა შეიცავდეს არქიტექტურის სამსახურის ლოგოს, სათაურს „ქ. თბილისის მერია სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური“ და ინფორმაციას სამსახურის უფროსის შესახებ;
- საინფორმაციო დაფა – რომელიც განთავსებული უნდა იქნეს რეალურ გარემოში თვალსაჩინო ადგილას. საინფორმაციო დაფა – (განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში დაგეგმილი მშენებლობისას, ნებართვის მაძიებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), რეალურ გარემოში თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:

ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.

საჭიროა საინფორმაციო დაფაზე სრულად მიუთითოთ აღნიშნული მონაცემები.

საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი; საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ) აღნიშნული დოკუმენტი უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის შესაბამის დახარვეზებულ ველში (საინფორმაციო დაფა-ბანერი*);

- ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ, სავარაუდო გამწვანების პროექტის აღწერით (გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვის გაცემისას);
- სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციით მიწის ნაკვეთს კვეთს მილსადენი. აქედან გამომდინარე, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ შესაბამისი ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრის პოზიცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით და გენგეგმა საპროექტო შენობა-ნაგებობის დატანით, აღნიშნული პოზიციის გათვალისიწინებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2018 წლის 11 სექტემბრის # AR1629704 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.